საქართველოს მთავრობის

დადგენილება №2

2020 წლის 8 იანვარი

ქ. თბილისი

„ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №320 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს №320 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/08/2011, 470030000.10.003.016480) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

„მუხლი 3^1. ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განისაზღვროს სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – უფლებამოსილი ორგანო).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**